

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ნიმუში, 2014

ქვემოთ მოცემულ ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები. *გაასწორეთ* ეს შეცდომები და ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მასში *არც ერთი სხვა ცვლილება* არ შეიტანოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი ცხოველები ლომი იაგუარი ვეფხვი და ლეოპარდი. თითოეული მათგანი საუკეთესო მონადირეა. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ვეფხვი. ვეფხვები ძლიერი მტაცებლებია და შეუძლიათ საშინლათ დიდი ზომის ნადირის დამარცხება. ნანადირევს ვეფხვი რამოდენიმე დღის განმავლობაში სჭამს. ნადირობა დამღლევი პროცესია, ამიტომ იგი დრო და დრო ისვენებს. დედა ვეფხვს, რომელსაც ბუნაგის შეცვლა უნდა კისერში ავლებს პირს ბოკვერს და ასე ახდენს მის გადაყვანას.

ვერ უუარყოფთ, რომ ამ უნიკალურ ცხოველს ადამიანი სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სწორედ ამიტომ აქვს ადგილი საგანგებო ღონისძიებების ჩატარებას ვეფხვების დასაცავათ.

შეფასების სქემა:

კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა, რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი ცხოველები: ლომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. თითოეული მათგანი საუკეთესო მონადირეა. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ვეფხვი. ვეფხვები ძლიერი მტაცებლები არიან და შეუძლიათ ძალიან დიდი ზომის ნადირის დამარცხება. ნანადირევს ვეფხვი რამდენიმე დღის განმავლობაში ჭამს. ნადირობა დამძლევი პროცესია, ამიტომ იგი დროდადრო ისვენებს. დედა ვეფხვი, რომელსაც ბუნების შეცვლა უნდა, კისერში ავლებს პირს ბოკერს და ასე გადაჰყავს.

ვერ უარყოფთ, რომ ამ უნიკალურ ცხოველს ადამიანი სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სწორედ ამიტომ ატარებენ საგანგებო ღონისძიებებს ვეფხვების დასაცავად.